

# სამართლებულის ხელშეკრუნვის



ხაშურის მუნიციპალიტეტის გამოყენების ბაზეთ „ხაშურის მოამბის“ დამატება  
№1, 29 იანვარი, პარასკევი, 2016 წელი

## ქართული დიტერატურისა და მწერლობის შესახებ გვესაუბრება ხაშურის მუნიციპალიტეტის გამოყენების ბირჟის გრანტი

ხაშურის კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობაზე ზრუნვა  
– ეს ჩვენი პრიორიტეტია

– ბატონი გიორგი, დამეთანხმებით, ჩვენი თაობა იმ ადამიანების გარემოცვაში გაიზარდა, რომლებიც რაიონის ლიტერატურულ კოლორიტს ქმნიდნენ. ჩვენი თაობა წიგნით გაიზარდა. რას იტყოდით ქართული მწერლობის შესახებ, გიყვართ თუ არა ლიტერატურა და რამდენად მნიშვნელოვანია დღეს წიგნი ადამიანებისთვის?

– პროფესიული განათლებისა და სპეციალობის მიუხედავად, შეუძლებელია, ქართველ ადამიანს ქართული მწერლობა და ლიტერატურა არ უყვარდეს, თუკი ოდნავ მაინც აზროვნებს. მით უმეტეს, როცა შოთა რუსთაველი გვყვავდა, ჯერ კიდევ, მე-12 საუკუნეში.

ჩემი თაობისთვის ხაშურის ლიტერატურული საქმიანობა, გამორჩეულად, მაინც გიორგი ლობჟანიძისა და ეგა ბაქრაძის სახელს უკავშირდება. კარგად მახსოვს თქვენი – ნორჩი პოეტების შემობიჯება პოეზიაში.

ბევრი რამის შესწავლა და ათვისება შეიძლება, მაგრამ თუ ნიჭი არ გაქვს, ლექსს ვერ დაწერ. იმის მიუხედავად, რომ სკოლაში ტექნიკური საგნები უფრო მიყვარდა (კარგადაც ვსწავლობდი) და ჩემი პროფილიც არაჟმანიტარული გახდავთ, ვცდილობდი, კარგი მკითხველი ვყოფილიყავი. ჩვენს ოჯახში, განსაკუთრებით დედახემს უყვარდა კითხვა და ახლაც უყვარს. დღეს აქცენტი კომპიუტერისკენ არის მიმართული, რასაც, ცხადია, პროგრესული შედეგები მოაქვს, მაგრამ, ჩემი აზრით, ბავშვმა ჯერ წიგნიდან უნდა მიიღოს საფუძვლიანი განათლება და მხოლოდ ამის შემდეგ, უკვე კომპიუტერთან მუშაობით გაიღრმავოს ცოდნა. საბედნიეროდ, დღესაც არიან წიგნის მოყვარული მოზარდები. ჩემი შვილები წიგნს კითხულობენ.

– გამორჩეულად საყვარელი მწერლები გეყოლებათ...  
– პაროზაიკოსებიდან – ქონსტანტინე გამსახურდია და ნოდარ დუმბაძე, პოეტებიდან მურმან ლებანიძე, მუხრან მაჭავარიანი. კორიფეული, თითქმის ყველა მიყვარს. შეიძლება, სრულიად უცნობი ავტორი აღმოაჩინო და ჩაგაფიქროს... ადამიანები, ზოგჯერ არ ჩანან, მაგრამ ფასეულობებს ქმნიან. პროფესიონალ შემფასებლად, შეიძლება, ვერ გამოვდგე, მაგრამ ესთეტიკურ სიამოვნებას ყველთვის ვდებულობ.

– თანამედროვე მწერლებიდან ვის გამოარჩევდით?  
– აგა მორჩილაძე და დათო ტურაშვილი, ჩემი აზრით, საინტერესო თანამედროვე მწერლები არიან. ისევ გავიმეორებ, ყველა საქმეს ნიჭი უნდა, მითუმეტეს - მწერლობას და ხელოვნებას. ის, ვინც საზოგადოებაში დამკვიდრებას სკანდალებითა და იაფფასიანი მარკეტინგული ხერხებით ცდილობს, ამით საკუთარ უნიჭობას და არაპროფესიონალიზმს ფარავს. დროს თავისი კარგი და ცუდი სიახლეები მოაქვს, თანამედროვეობა ხელოვნებაშიც უნდა აისახოს, მაგრამ ის არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ მართლმადიდებელი ღირებულებების დამცველი ერთ ვართ. ვისაც როგორ სურს, ისე

იცხოვოს, ინდივიდუალური დამოკიდებულებებით ამა თუ იმ საკითხის მიმართ, ეს მისი პირადი საქმეა, მაგრამ ხელოვნებისა და ლიტერატურის გამოყენებით, ამ უკელაფრის პროპაგანდა, ჩემთვის, მიუდებელია.

– იქნებ დააკონკრეტო, რას გულისხმობთ?

– რას და, როდესაც მშობელი დედის მიმართ აღმრუდუსამს ფიქრებს მწერლობის



სახელით უკეთებ რეალიზებას და ამას ლიტერატურულ პროდექტების არქევე, საკუთარ თავს კი მწერალს უწოდებ, უფრო მეტიც, ასეთ ნაწარმოებებში პრემიას გაძლევენ, – ეს, ჩემთვის, ერთი რიგითი მკითხველისთვის დანაშაულია. ქართული მწერლობა სიბილწისა და უნიკობის პოლიგონად არ უნდა იქცეს. პოეზია დოკუმენტაციის არის. მართლმადიდებლობისა და ჩვენი პატრიარქისადმი არაკორექტულ მოპყრობას და მწერლობაში მის იდეოლოგიად ქვევას უმიჯნები.

– გეთანხმებით. ამიტომაც არის საჭირო ჭეშმარიტად ნიჭიერი შემოქმედი ადამიანების ხელშეწყობა. ისევ ხაშურს მივუბრუნდეთ. რა გეგმები აქვს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, უნდა ველოდოთ თუ არა, საზოგადოების ინტელექტუალურად ამაღლებისთვის აუცილებელ პროექტებს?

– გეგმები, რა თქმა უნდა, არის... პატარა ნაბიჯებით დავიწყეთ და იმედი გვაქს, გავაფართოებთ ხაშურის კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობას, – ეს ჩვენი პრიორიტეტია. მით უმეტეს, ხაშური ინტელექტუალური ადამიანებით არის ცნობილი. აქვა მინდა, აღვინოშნო იმ აკადემიური დონისძიებების მნიშვნელობა, რომელსაც პირადად თქვენ ჩაუყარეთ საფუძველი ჩვენს ქალაქში და, უკვე რამდენიმე წელია, უძღვებით. მჯერა, ყველა კეთილი საქმე ერთმანეთს გადაკვეთს და კეთილ ნაყოფს გამოიღებს.

– და ბოლოს, ხაშურის საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის ერთობლივი ინიციატივით დღის სინათლეზე გამოვიდა „ლიტერატურული ხაშური“, რომელსაც, მართლაც, ინტერესით აღვნებს თვალს ჩვენი საზოგადოება. რჩება თუ არა გამგებელს დრო ლიტერატურული გაზეთის წასაკითხად?

– რა თქმა უნდა, ვკითხულობ და მეამაყება, რომ დგაწლმოსილი ადამიანების გარდა, ნიჭიერი ახალგაზრდობაც მოდის და ეს გაზეთი მათაც უხსნის ასპარეზს. განსაკუთრებით პოეზიით იყო და არის განოქმული ჩვენი ქალაქი. „ხაშური – პოეზიის აკვანი“ – ეს სიტყვები ჯილდოა თითოეული ხაშურელისთვის.

წარმატებებს ვუსურვებ ჩვენი რაიონის შემოქმედ ადამიანებს და მათდამი მუდამ თანადგომას გამოვხატავ.

ესაუბრა ეგა ბაქრაძე





## ს ს ო გ ნ ა



ადამიანების ამაღლებიდან უდროოდ ზასვლა პეპლის ხანობრივი ზარგატს მოჰყავს – სიცოცხლის ლამაზი ვერებით დაუტკბობელი სორბილი სამსეს...

მთი უფრო, თუ ეს ადამიანები პეპლასავით უყინები, ვაძინი სულით შემთხველი დააგივებდნენ ჩვენს გვერდით ისე პატრიოტა, თითოვს მიწას ვეხს არც კი აკარგდნენ, ზეცისკენ ასაზონეად ნაადრევად შემთხველი...

ასეთი იყო **ვარი ლომისი** ამაღლები შოცის 23 წელი – ლექსებით, ოცნებებითა და სიჭვარელით სამსეს...

მერე გრძა გედის დრერამ თვალხილულად გაიმატა...  
მას შემდეგ დიდი დრო გავიდა...

ჩვენს ქალაქს ისევ ახსოვს მომზიგლელი ახალგაზრდა ქალის ხალასი ღია მიზანი და გმირებისა ისე სულის გულორცელი ამოკაზილი, როგორსაც შესანიშნავა არეალი ქალგაზრდა ნაზი მოდასრისა, რამდენიმე ათეული წლის წინა არეალი თოროლვი აღსავს ჩანახატი მიუმდვნა, როგორიც შერნალ „საქართველოს მაღის“ ვერცლება დაიგვდა...

\* \* \*

მიკუკერი მგზავრი ქვიშიან ზილიკ  
და ფილის სიო მეალერსერა,  
მიკულ, ჩემივე ნაწილს ვითვლი,  
მინდა, რომ ვიქტო ლამაზ ლექსერად.  
მიკლივარ, ფეხერეშ ქვიშა ხმაურობს,  
და მექ, ნელ-ნელა ვეხვევი ფიქრში,  
საფლაუ ჩანჩქერი აურზაურობს.  
და ტირიფერი ჩაფლულან ნისლში.  
ჩანჩქერი მდინარის პირას, –  
მეჩურჩულერა, ვეჩურჩულერი,  
გზას გავუკური და აქ, ჩემს ნაწვლად.  
რჩერიან ჩემი ნაფეხურერი.

\* \* \*

მე მახარებდა განშორების მოახლოერა,  
ახლოს მოსულმა სინაწყლის მომგვარა წრემლი,  
ო, როგორ მინდა იმ დღეების განმეორება,  
ვიუ, არ მოვა და მაინჯ ველი...  
რა ტკრილი იყო, უჩვეულო, მაშინ მაისი  
და ჩემს თვალებში უცელაფერი თოოქოს ზონინავდა,  
შზეს შევაროდი, უშურველად მათონდა ისიუ,  
და არ მეგონა, ზოლოს, ასე თუ გამყინავდა.  
მინდა, პი, მინდა ისევ ნლების შემორჩენება,  
მაშინ უნერით წაფ აზიფულ კოშკებს ვაგერდი,  
მე ვონერბორდი, უნერაა ჩემი წუნერა  
და არ მეგონა, არ მეგონა თუ ვინანერდი.

### ნიკოლოზ ჭარაშვილის

კვითხულობ დიდხანს... ფავხუჭავ თვალს და  
ჩემს საცარელ ნიგნს მივიკრავ გულზე,  
თვალნათლივ ვუშზერ საცურის წიმრის  
ეკატერინეს პატარა ყურზე.

ავხელავ წას და მომავინდება,  
რომ შენ გიყვარდა ლაუცვარდის ფერი –  
ფერი ზექისა, რომელსაც ახლა  
შენი თვალებით შექმარის ერი.



### საზოგადო

იმ დილითაც ჩვეულებრივად გაუდგა გზას სამსახურისკენ, მაგრამ ამჯერად, ფეხით სიარული აირჩია. ოცდასამი წლის იქთ. სიცოცხლითა და ხალისით სავსე. ორი შვილის დედა.

ახლა... მესამეს ელოდება. ჯერ არავის უმხელს ამ საიდუმლოს, მაგრამ გულის კოვზთან უკვე გრძნობს ახალი სიცოცხლის ქრუანტელს და ბედინერია.

წაკითხულ წიგნზე შთაბეჭდილებების მიწერის ჩვეულება სკოლიდან გამოშევა. წერდა ამ შთაბეჭდილებებს თავისთვის და წარმოდგენაც არ პქონდა, თუ, ოდესმე, ეს რვეული სხვას ჩაუვარდებოდა, სხვა წაიკითხავდა და სევდიანად დახურავდა:

„წაკითხულ წიგნზე გოლობერის ფილოსოფიური მოთხოვობა „ზადიგი ანუ ბედისწერა“... „წაკითხულ გოეთეს „ახალგაზრდა გერტერის ვნებანი“... „დავამთავრე სტენდალის „პარმის სავანე“... დავამთავრე უოლტერ სკოტის რომანი „აივენო“... დავამთავრე შიშკოვის წიგნი „უგრიუმ მდინარე“... „წაკითხულ ელზა ტრიოლეს რომანი „ვარდები ნისიად“... დავამთავრე ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“... დავამთავრე გრიგორ აბაშიძის წიგნი „ლაშარელა“...

1967 წლის სექტემბრის მიწურული იდგა... გზატკეცილის გაღმა-გამოდმა საყვარელი აღვები შრიალებდნენ... იმ დილით გერცხლის ღრუბლები იბანდნენ პირს და მზეს ელიველივებოდნენ. აღვები, რომლებიც ასე უყვარს, ღრუბლები, რომლებიც ასე უყვარს, და კიდევ – მინდვრის უვაილები, უკითლები, ღურჯები, წითლები, სოსნისფრები... აკი უმდევრა კიდეც თავისი სადა ლექსით:

„და მოგვადები ასე წენარად,  
ასე ტბილად თვალს დაგხუჭავ  
თან გამყვება მე, სასსოფრად  
უვაილები, ერთი მუჭა.“

ლექსები თავდავიწყებით უყვარს, სხვისიც, თავისიც. ხანდახან საკუთარი ლექსი რაიონული გაზეთის რედაქციაში მიაქვს, სადაც ადგილს უთმობენ მის გულწრფელ სტრიქონებს.

ლექსებს ბავშვობიდან წერს. თბილისის „პიონერთა სასახლის“ გაზეთმა „გაზაფხულმაც“ რამდენჯერმე გამოაქვეყნა მისი ლექსი. ხაშურის I საშუალო სკოლის მოსწავლე მერი ლომიძე თვალს არ უჯერებდა. პატარა ქალაქს, ხაშურს, უყვარდა თავისი პოეტი ქალიშვილი. ზოგჯერ ზეპირად ეუბნებოდნენ მისეულ სტროფებს:

„ფართოდ გაგადე წემი ფანჯარა,  
ფართოდ შეგხსენი გაზაფხულს გართ.  
თეთრი აპრილი უკვე დამდგარა,  
მასარებს წვიმაც, მზიანი დარიც“...

თოვლიც ახარებდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, თავის პირმშობ როდანახვა პირველი ფილებით გაიცილებოდა. ბავშვის კი მარად დაამასოვრდება ის პირველი თოვლი:

„როგორ გაგუნინა ფუნჩულა ხელები,  
ლოფები გილგის, როგორც უგავილები...“

გზა კი მიდის, მიდის აღვებით, ტირიფებით, გერცხლის ღრუბლებით, ახალგაზრდა ქალის გული კი ხმიანებს:

„მიკუკები მგზავრი ქვიშიან ბილიქს  
და დილის სიო მეალერსება,  
მიგად, ჩემთვე ნაბიჯებს გითვლი,  
მინდა, რომ ვიქცე ლამაზ ლექსებად.  
ჩაგიჩერები მდინარის პირას,  
მეჩურჩულება, ვეჩურჩულები,  
აღვების ძირას, ჭადრების ძირას  
რჩებიან წემი ნაფეხურები...“

გზა კვლავ მიდის მგზავრებით დატვირთული ავტობუსებით, საბარემანებით...

და ტანკებით ქალიც მიუვება გზას, მიაქვს პატარა, უპრეტენზიონ ლექსები, წაკითხულ წიგნები, ოცნებები, მომავლის იმედები და გულთან ჩაბუდებული ახალი სიცოცხლე.

გზა ნელ-ნელა მოკლდება...

მოკლდება მისთვის და ეს არ იცის უცნობმა კაცმა - მძღოლმა, რომელიც საჭეს მიჯდომა...

რა მოხდა?! ვინ დაარღვია მიმოსვლის წესი? – მძღოლმა თუ ქალმა? რამდენი სანტიმეტრით? რა სიჩქარით? ფხიზელმა? მთვრალმა? – ამას შემდეგ იტყვიან. დაწვრილებით გამოიძებენ. დაკითხავენ, დააღინენ.

მაგრამ, სიცოცხლე, რომელსაც უყვარდა შვილები, ლექსები, წიგნები, უყვარდა ოჯახი, პატარა, დამაზი ქალაქი და სამშობლოს ცა – „პარათაშვილის თვალების ფერი“, – ის სიცოცხლე სიმივით გაწყდა, დღისით, მზისით, ლარივით სწორ გზაზე...

...და, როდესაც ხაშურში მოვხედები, ქალაქში, სადაც სახლებს ვახევა, ფართო, დია აივნებზე ღურჯი და ვარდისფერი დილის ევავილები იცინან, მე ვფიქრობ უცნობ კაცმა, პოეტ ქალზე...



## ს ს ო გ ნ ა

### არაგორიშვილის პანდალ აუდიტორიული შრატი

იუზა გელაშვილი ქრისტეშობის თვეს განერიდა წუთისოფელს!..

ყინვისგან შეჭირხლული თეთრი ქარებით გათოშილი კივის დეკემბერი... ამ ხმას ექოსავით უერთდება ჩვენი გულიდან ამომსცდარი ურვა - მერამდექნედ განცდილი გრძნობა ჩვეულებრივი მოკვდავისა, რომ ვერაფერს შევცვლით, ვერ ვჯობნით, ვერ ვამარცხებთ ბუნებით დადგენილ კანონს. ამ ფიქრში გავიდა დრო....

თქვენი ამქვეყნიდან წასკლის მეორმოცე დღეს კვლავ შევიკრიბეთ. თვალებით გათბობით ერთურთს, ველარ ვიმშვიდებოთ უიმედობით შეპყრობილ სულს, ველარ ვერევით გარდაცვალების დასკვნით აკორდებს - გათავდა, მორჩა... და ისევ ცრემლების კასკადი, გულის გულში გაჩენილი ტკივილი და უცნაური აღმოჩენა: თურმე, იმაზე ბევრად დიდი და საოცარი ყოფილხართ, ვიდრე აქამდე გიცნობდით.

სათქმელი ბევრი გვაქვს... ერთმანეთს არ ვაცლით თქვენი ნაღვაწის ჩამოთვლას: პროზა, პოეზია, ესები, ლიტერატურული განხილვები, გამოჩენილ ადამიანთა შემოქმედების ზედმიწევნით ცოდნა, ახლებურად წარმოჩენა, დიდი შოთას „ვეფხისტყაოსნის“ ორ ენაზე ზეპირად აუდერება.

დიახ, შემოქმედება მისი სასიცოცხლო სტიქია იყო, მკვეთრი კონტრასტებით დაპირისპირებული: წუთი-წუთისოფელისა და მარადისობა, დღე და დამე, შუქი და ჩრდილი, სიბრუნვე და სინათლე. სხვაგვარად უღერს მისი ლიტერატურული ლექსიკა: სიკვდილის ლანდი, ბურუსი, სიბრუნვე, ცრემლები და სასაფლაო - მისი ორი უძვირფასესი ადამიანის, - ქალიშვილისა და მეუღლის სამარადისო სასუფეველი და ამ დრუბლიან უიმედობაში, დროდადრო, მზის გამონათება - ფიქრი სიცოცხლეზე, შვილები და შვილიშვილები, ახლობლები და მეგობრები, მაგრამ ამ წამიერ სინათლის სხივს კვლავ ცვლის სევდა, მუქი ფერების მოჭარბება და, ყველა ეს გრძნობა წამყვან ლაიტმოტივად აისახება მის სულიერ განწყობილებასა და ლიტერატურულ ჩანაწერებში.

ბედდასეტყვილს, მეგობრებთან წილნაყარი ხალისიანი წუთები ალადებდა, გვეფერებოდა, ენაწყლიანობდა, ზეპირსიტყვაობით გვაოცებდა. ჩვენ კი სათანადოდ ვერ მოვეფერეთ...

ისევ ცრემლების ნიაღვარი და ეს არ ის ცრემლების ფარსი ვერნისაჟი. იმედის ტალღას ვგრძნობ... მისი ქნარი არ დადუმებულა...

საკრავის სიმთა პარმონია კვლავ შეუერთდება სამყაროს და არდავიწყების პანგად აუდერდება...

### ნანი გაჩეზილაძე

#### ზღვის ცრემლები

ოუზა გელაშვილის ხსოვნას

ზღვას გადაჰყოლია  
ურთათეთრი თოლია,  
ჩიოდნენ თმათეთრი მთები,  
სული თუ სკელია, დრო მთლად შიშველია,  
კედარ გიშველიან ურთები...  
აურას რომ დაეცა, გული ვერ გაექცა,-  
ჩაძირა იმედი მერცხლის...  
დათისმშობლის ცრემლები, ბედის ფარითან,  
დრო მოვა, განაწენს შეცვლის.  
აფხაზეთო, ჩემო, შენო,  
ან კი, მისო სუდარაკ,  
შენი ერთი მუქა მინის  
შეცი, ადარც სურდა ჩა...  
დგას ანაკოფია, დადლილი თვალებით,  
რინეს კვლავ უერს უცვლის სევდა...  
თამარის ხიდზე თუ არ შეგხვდა აპრილი,-  
ოცყვი, რომ დაგცინა ბედმა...  
ცხუმს ადარ მდერან თეთრი თოლიები,  
გადმოჰყვნენ მოქეცევს ზღვისას,  
პაპის ანდერმს ოდესმე აიხდებს ემანვილი,-  
და უერს დაიბრუნებს ცისას...  
აფხაზეთო, ჩემო, შენო...

კლარა გელაშვილი

**ლაშა ლომიძე** დაიგადა საშუალები 1991 წლის 12 მაისს. არის გორის სახელმიწოდებული სასწავლის უნივერსიტეტის პუბლიცისტარული ფაკულტეტის ქართული ვილოლობის მეორე კურსის სტუდენტი.

\* \* \*

არ გინდა, შე ცალო, ეგ ყოფა შეცვალო?



ამ შეგონებებით ტგინი გაგიჭედვა,  
გითხარი: „მოუშვი სირბილს და დამყევი“.

შენ მაინც არ იშლი, გინდა, რომ გიჭერდე,  
გარბიხარ, შენ ჩემი სიმშვიდის დამრბევი.

ვიცი, ვერ უარყოფ, საქმაოდ ვიცადე...  
გეტყვი, ჩემს ნატანჯ გულს ფეხებით შედექი.  
კიდევ ბევრს დავიცდი, კარგო, რომ იცოდე,  
ამ ტანჯვას, ამ ლოდინს ექნება შედეგი!

უარობ და სიტყვას არ იცი გადასვლა,  
მივდივარ... არ დამრჩა სხვა, ამის გარდა, სვლა.

\* \* \*

მუდამ გარბიხარ, გიპირებდე თითქოს დასუსხვას,  
შორიდანაც კი გაკვირდები, მზერას მაცილებ.

ნუთუ, გინდა, რომ ჩამოგშორდე ახლა და სულ სხვას  
ასე დაგუთმო შენი თავი? მორჩი! მაცინებ...

ჩემი არ იყო? რას მოვისმენ, ქვეყნად, უარესეს?

დაიმახსოვრე, - მთქმელი არ ვარ შენზე უარის!

ხომ ნახე, ყელზე სამკაულად ქალი მეკიდა,  
მაგრამ თავს მაინც ისე ვგრძნობდი, როგორც დარიბი,

ნუ იბუტები, შემირიგდი, აპა, ნეკი და  
ერთმანეთს თაფლით ამოუკესოთ გულის დარები.

მინდა, დამიღებს სანატრელი, ტკბილი წამი და

ვთქვა: „დღეს კამათით არ წასულა, კოცნით წავიდა.“

\* \* \*

ნუდარ დვრი, რა, ცრემლებს, ასველებ ხალისა  
და ლექსებს, რომლებიც გაჩუქრება, - ეგ ერთი,  
მეორე, - მაგ ხელის გულზე რომ ხალი ჩანს,  
გამოდი, გაჩვენება, - ცაზეა ეგეთი.

მესამე, - სიყვარულს აგიხსნი ისევ და...

თავიდან გაკოცებ, წაგიდო რომ ალიც.

სულ წამში გაიგლის, ძვირფასო, ის სევდა,

ამ ღამით, ოთახში გატირებს რომელიც.

დიდ უდელს კისერზე დავიდებ, დაგადებ  
და როცა გავიგლით ორმოცზე მეტ კვირას,  
ყველაზე მშვენიერ გოგონას დაბადებ...

მე ჩემი გითხარი, შენ, შენსას, მეტყვი რას?